**რელიგია ძველ საბერძნეთში.** როგორც ყველა სხვა ძველი ხალხი ასევე ბერძნებს ეჯერათ, რომ ბუნებას მართავდნენ ღმერთები. მათი წარმოდგენებით, ღმერთები ცხოვრობდნენ დიდებულ სასახლეებში ოლიმპოს მთის წვერზე. სამი ძმა-ზევსი, პოსეიდონი და აიდს შორის იქნა გაყოფილი სამყარო. ზევსი იყო ცის მბრძანებელი, პოსეიდონი – ზღვის, აიდი კი ქვესკნეთის, მკვდრების სამეფოს.

ბერძნების რწმენით, ჰელიოსი იყო მზის ღმერთი, აპოლონი-შუქისა და ხელოვნების ღმერთი. დემეტრა ითვლებოდა მიწათმოქმედების და უხვმოსავლიანობის ქალღმერთად. დიონისე-ღვინის ღმერთი. გეფესტოსი იყო მჭედლობის მფარველი ღმერთი, ჰერმესი-ვაჭრობის.



2. ზევსი

**სკოლები.** ათენში იყო ყველაზე საუკეთესეო სკოლები. თავისუფალი ბერძნების შვილები სკოლაში დადიოდნენ შვიდი წლიდან, წვრილბოლოიანი მეტალის ჯოხით მეშვეობით-სტილა ისინი წერდნენ სანთლის ზედაპირიან დაფებზე. სტილას მეორე მხარე იყო ბლაგვი. ბლაგვი მხრიდან შლიდნენ დაწერილს.

**თეატრი.** საბერძნეთში ღვინის ღმერთის დიონისეს სადიდებლად ტარდებოდა დღესასწაულები. ამ დღესასწაულებზე ითხრობოდა დიონისესთან დაკავშირებული ლეგენდები, თამაშდებოდა სცენები ამ ლეგენდების მიხედვით. დასაწყისში ასეთი წარმოდგენები ტარდებოდა გაშლილ ადგილას მთის ქვეშ, მაყურებლები განლაგებუნი იყვნენ მთის ქანებზე. იდგმებოდა **სკენა***. კარავში მსახიობები იცვლიდნენ ტანისამოსს. შემდგომ კარვების მაგივრად

* ***სკენა*** *– ბერძნულიდან თარგმანში ნიშნავს „კარავს“*

3. თეატრი საბერძნეთში
*(თანამედროვე ფოტოსურათი)*




4. ა) დორიული;
ბ) იონური;
გ) კორინთული
სვეტები

5. ათენის აკროპოლი
*(თანამედროვე ნახატი)*

დაიწყეს პატარა ზომის ნაგებობების მშენებლობა. წარმოდგენის დროს შენობაზე იკიდებოდა **დეკორაციები***. მსახიობების და გუნდის გამოსვლისათვის იქმნებოდა პატარა მოედანი-ორქესტრუ. ძვ.წ. V-საუკუნეში წარმოდგენების გასამართად აშენდა თეატრები.

ძველ-ბერძნული მითების და ლეგენდების მიხედვით იქმნებოდა პიესები, რომელთაც ერქვათ **ტრაგედიები***. ტრაგედიის პირველი გამორჩეული ავტორები იყვნენ ესქილი და სოფოკლე. ათენის **თეატრში*** ესქილს და სოფოკლეს აღუმართეს ძეგლები.

სასაცილო გასართობი სცენებიდან შეიქმნა იუმორისტული პიესები-კომედიები, სიტყვა „კომედია“ ნიშნავს „მხიარული მაცხოვრებლების სიმღერას“.

**არქიტექტურა და სკულპტურა.** საბერძნეთის ყველა ქალაქში შენდებოდა საზოგადოებრივი შენობები, სკოლები, თეატრები, ტაძრები და იდგმებოდა ძეგლები. ათენის მთავარი მოედანი იყო აგორა.

აგორის ერთ ნაწილში იდგა სავაჭრო დახლები, ხოლო მეორე მხარეს სამთავრობო შენობები, ტაძრები. ატენის ამ ნაწილში რომელსაც ერქვა აკროპოლი იდგა შენობები, რომლებიც ითვლებიან ბერძნული არქიტექტურის საოცრებად. მათ შორის ყველაზე დიდებული იყო პარტენონის ტაძარი, რომელიც იქნა აღმართული ქალღმერთ-ათენის პატივსაცემად.

ბერძნულ არქიტექტურაში გავრცელებული იყო დორიული სვეტები

* ***დეკორაცია*** *– სცენის მორთულობა*
* ***ტრაგედია*** *– დრამატული ნაწარმოები რომელიც ძირითადად მთავრდება მთავარი გმირის დაღუპვით*
* ***თეატრი*** *– ბერძნულიდან თარგმანში ნიშნავს „სანახაობების ადგილი“*

6. ძველბერძნული ტაძარი *(თანამედროვე ფოტოსურათი)*

(სვეტები, რომელიც, ამოდის ქვის იატაკიდან და ბოლოში მთავრდება უბრალო პლიტით), იონური სვეტები (რომელთაც ბოლოში ქონდათ ორნამენტი) და პორტიკი (სვეტებით დამაგრებული მზისგან დასაცავები).საბერძნეთში იყო ასევე განვითარებული მოქანდაკეობა.

მოქანდაკე ფიდიოსის მიერ აღმართული იქნა ათენას 12 მეტრიანი ქანდაკება ოქროთი და სპილოს ძვლის ინკრუსტირებით.

**მეცნიერება.** მილეთი, ასევე სხვა იონიის ოლქის ქალაქები, რომლებიც განლაგებულები არიან ეგეოსის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, და ათენი გადაიქცნენ საბერძნეთის მეცნიერულ ცენტრებად.

ათენელი დემოკრიტე ამტკიცებდა, რომ მთელი სამყარო შესდგება წვრილმანი ნაწილაკებისგანატომებისგან. ექიმ ჰიპოკრატეს და მისი მოწაფეების ტრაქტატმა სწორ კვებაზე,

7. დემოკრიტე



8. ჰიპოკრატე



9. ჰეროდოტე



10. არისტოტელე

წამლებზე და ქირურგიულ ოპერაციებზე დიდი ღვაწლი შეიტანა მედიცინის განვითარებაში. ძვ.წ. V-საუკუნეში წარმოიშვა მეცნიერების ისეთი დარგი როგორიცაა – ისტორია. ჰეროდოტემ დაწერა ბერძნულ-სპარსული ომების ისტორია. ჰეროdოტეს „ისტორია“ არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა ძველი საბერძნეთის, წინა აზიისა და ეგვიფტეს, ასევე აზებაიჯანის. ჰეროდოტეს დღესაც უზახიან „ისტორიის მამას“ .

არისტოტელემ დაჰყო მეცნიერება დარგებად, ანუ დამოუკიდებელ მეცნიერებებად.

მან მიანიჭა თითოეულ დარგს სახელწოდებები: ბოტანიკა (ბერძნულად „მცენარე“), ფიზიკა („ბუნება“), პოლიტიკა და ა.შ.

**ოლიმპიური თამაშები.** ძველ საბერძნეთში სპორტულ შეჯიბრებეს, რომელიც ტარდებოდა ოთხ წელიწადში ერთხელ, ეწოდებოდა ოლიმპიური თამაშები. შეჯიბრებებში მონაწილეობას ძირითადად მდიდარი ხალხი იღებდა. ქალებს ეკრძალებოდათ ოლიმპირ თამაშებზე დასწრება. ქალს, რომელიც დაარღვევდა ამ წესებს, ელოდა სიკვდილი.

ოლიმპიური თამაშბის დროს ჩერდებოდა ყველანაირი ომები.

გამარჯვებულს აჯილდოვებდნენ გვირგვინით ,რომელიც იკვრებოდა ზეითუნის ტოტებისგან. გამარჯვებულებს უდგავდნენ ძეგლებს.



11. ოლიმპიური თამაშები

ბერძნები თავის წელთაღრიცხვას ითვლიდნენ პირველი ოლიმპიური თამაშებიდან. თქმულების მიხედვით პირველი ოლიმიური თამაშები ჩატარდა ძვ.წ. 776 წელს . ისევე, როგორც ძველ საბერძნეთში, ეხლაც ოლიმპიური თამაშები ტარდება 4 წელიწდში ერთხელ.

ბერძნული დამწერლობა გახდა საფუძველი რამოდენიმე ანბანის შესაქმნელად. მათ რიცხვს მიეკუთვნება კირილიცა და ლატინიცა. ბევრი ბერძნული სიტყვა იქნა გადმოტანილი თანამედროვე ენებში, მათ შორის აზერბაიჯანულშიც. მაგალითად: გიმნაზია, ტრაღედია, კომედია, ორკესტრი, ქრონოლოგია და ა.შ.

## ქრონოლოგია

| | |
|---|---|
| * ძვ.წ. VIII-საუკუნეში | ბრმა ბერძენი მწერლის ჰომეროსის შექმნილი იქნა ეპიკური პოემები „ილიადა“ და „ოდისეა“ |
| * ძვ.წ. 776 წელს | პირველი ოლიმიური თამაშები ჩატარდა |
| * ძვ.წ. V-საუკუნის ბოლოს | თეატრების შექმნა საბერძნეთში |
| * ძვ.წ. V-საუკუნეში | წარმოიშვა მეცნიერების ისეთი დარგი როგორიცაა -ისტორია. |

## კითხვები და დავალებები

1. ვის მიერ იქნა შექმნილი პოემები „ილიადა“ და „ოდესეა“?
2. როგორ შეიქმნა პირველი თეატრალური წარმოდგენები საბერძნეთში?
3. აღწერეთ ათენის აკროპოლი.
4. როგორ წარმატებებს მიაღწია საბერძნეთის არქიტექტურამ?
5. ვის სახელებთან არის დაკავშირებული ბერძნული მეცნიერების განვითარება?
6. მოყევით ოლიმპიურ თამაშებზე?

მოამზადეთ პრეზენტაცია თემაზე „ძველი საბერძნეთის წვლილი მსოფლიო კულტურაში“

ჰომეროსი, აკროპოლი, სტილი, თეატრი, ტრაღედია, კომედია,აგორა,ოლიმპიური თამაშები

## 20. ბერძნული ქალაქ-პოლისების დაცემა .ალექსანდრე მაკედონელი

**ქალაქ-სახელმწიფოების დაცემა საბერძნეთში.** ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოებს შორის მიმდინარეობდა მწვავე კონკურენცია დიდი ნადავლის მითვისებისთვის, საზღვაო ვაჭრობაში უპირატესობისთვის. ეს კონკურენცია გახდა სპარტასა და ათენს შორის გრძელვადიანი ომების მიზეზი. ძვ.წ. 431 წელს დაწყებული ომი გაგრძელდა ძვ.წ. 404 წლამდე მცირე შესვენებებით, სპარტის გამარჯვებით. გრძელვადიანი ომების შედეგად ქალაქ-სახელმწიფოები მნიშვნელოვნად დასუსტდნენ და შემდგომში დაემორჩილენ მეზობელ მაკედონიას.

**მაკედონიის სახელმწიფო. ფილიპე II.** მაკედონია განლაგებული იყო ბალკანეთის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთით. ძვ.წ. IV-საუკუნის ნახევარში ფილიპე II მმართველობის დროს მაკედონია ჩამოყალიბდა როგორც ძლიერი სახელმწიფო. ფილიპე II შექმნა ძლიერი რეგულარული ჯარი.

1. ფილიპე II

ფილიპე II დაიპყრო რამოდენიმე ბერძნული ქალაქ-სახელმწიფო. ხშირ შემთხვევაში იგი უცდიდა ფულს ქალაის მოსახლეობას და ისინი უღებდნენ კარებს.

ძვ.წ. 338 წელს ქალაქ-ჰერონთან ფილიპე II და ბერძნულ ჯარებს შორის მოხდა გარდამტეხი ბრძოლა. ჰერონიის ბრძოლამ მოიტანა ქალაქ-სახელმწიფოების დამოუკიდებლობის დაკარგვა.

18 წლის ფილიპე II შვილმა ალექსანდრემ პირველად გამოავლინა მხედრული ნიჭი.

**ალექსანდრე მაკედონელი და მისი ლაშქრობები აღმოსავლეთში.** ფილიპე II ცდილობდა გაეფართოვებინა თავისი სახელმწიფოს საზღვრები. მაგრამ, შეთქმულების შედეგად , ფილიპე II მოკლულ იქნა ლაშქრობის დაწყების წინ. 20 წლის ალექსანდრე მაკედონელი მამის სიკვდილის შემდეგ გამოცხადდა მეფედ (ძვ.წ. 336-323 წწ.)

ალექსანდრე მაკედონელის ხელმძღვანელობით მაკედონური არმია გაემართა აღმოავლეთისკენ. ძვ.წ 334 წელს გრანიკთან ბრძოლაში ალექსანდრე მაკედონელმა დაამარცხა აქამენიდთა ჯარი. ძვ.წ. 333 წელს ისსესთან ბრძოლაში ალექსანდრემ დაამარცხა დარიუს III მიერ დაქირავებული ჯარი და ხმელთაშუა ზღვის სანაპიროთი გაემართა ეგვიფტისკენ. ფინიკიურ ქალაქმა ტიროსმა დიდი წინააღმდეგობა გაუწია ალექსანდრეს. ალექსანდრემ დაიბყრო და გაანადგურა იგი. ამის შემდეგ სხვა ფინიკიური ქალაქები და ეგვიფტე ალექსანდრეს ბრძოლის გარეშე დანებდნენ. ეგვიფტელმა ქურუმებმა ალექსანდრე აღიარეს ფარაონად და ღმერთად.

შემდეგ ალექსანდრე გაემართა მესოპოტამიისაკენ. აქამენიდთა მეფემ დარიუს III შეკრიბა უზარმაზარი ჯარი ალექსანდრეს წინააღმდეგ. ძვ.წ. 336 წელს გავგამელებთან მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა. ამ ბრძოლაში ალექსანდრემ კვლავ გაიმარჯვა. დარიუს III კი გაიქცა ქვეყნის აღმოსავლეთისაკენ.

2. ალექსანდრე მაკედონელი

ძვ.წ. 330 წელს დარიუს III მოკლულ იქნა თავისი ბაქტრიის სატრაპის ბესის მიერ. ამის შედეგად აქამენიტთა სახელმწიფო დაეცა. ძვ.წ. 328 წელს ალექსანდრე მაკედონელი აგრძელებს ლაშქრობას ინდოეთისაკენ.

3. დარიუს III ბრძოლის სცენა

ალექსანდრე მაკედონელის იმპერია და მისი დაშლა. ალექსანდრე მაკედონელმა შექმნა უდიდესი იმპერია. ეს იმპერია მოიცავდა უდიდეს ტერიტორიას ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან




ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის საზღვრები

4. ფაროსის შუქურა

ეგვიპტემდე და ინდოეთამდე. ძვ.წ 323 წელს ალექსანდრე მაკედონელი 33 წლის ასაკში გარდაიცვალა. მისი სიკვდილის შემდეგ იმპერია რამოდენიმე სამეფოდ დაიშალა. ალექსანდრეს ჯარის მიერ დაბყრობილ აღმოსავლურ ქვეყნებში იქნა შექმნილი ბევრი ქალაქი რომელთაც მისი სახელი ეწოდა. ამ ტერიტორიებზე ფართოდ იყო გავრცელებული ბერძნული ენა და ბერძნული კულტურა.

5. ევკლიდე

ალექსანდრე მაკედონელის პატივსაცემად ნილოსის დელტაში იქნა აშენებული ქალაქი ალექსანდრია. კუნძულ ფაროსზე, რომელიც მდებარეობს ალექსანდრიის მოპირდაპირე მხარეს აღმართული იქნა 140 მეტრიანი შუქურა. იგი უჩვენებდა მიმართულებას გემებს.

ალექსანდრია ასევე იყო ცნობილი თავისი ბაზრებით: აქ იყიდებოდა სხვადასხვა საქონელი, რომელიც შემოდიოდა ევროპიდან, აზიიდან და აფრიკიდან. ალექსანდრიაში იყო მშვენიერი სასახლეები და ცნობილი **მუსეი***. ალექსანდრიის მუსეიში ინახებოდა 700 ათასი ხელნაწერი,

6. არქიმედე

7. ძველ-ეგვიპტური ქალაქი ალექსანდრია
*(რეკონსტრუქცია)*

* ***მუსეი*** *– ნიშნავს „მუზების ტაძარს“; ბერძნულ მითოლოგიაში ქალღმერთები, რომლებიც მფარველობდნენ მეცნიერებას და ხელოვნებას ეძახდნენ მუზებს.*

რომელიც შესრულებული იყო პაპირუსზე და **პერგამენტზე***.

ალექსანდრიის მუსეიში მოღვაწეობდნენ ისეთი დიდი მეცნიერები როგორებიც არიან ევკლიდე და არქიმედე.

## ქრონოლოგია

| | |
|---|---|
| * ძვ.წ. 431-404 წწ. | ათენა-სპარტის ომები |
| * ძვ.წ. 338 წ. | ხერონიის ბრძოლა |
| * ძვ.წ. 336-323 წწ. | ალექსანდრე მაკედონელის მმართველობის წლები |
| * ძვ.წ. 334 წ. | ბრძოლა გრანიკთან |
| * ძვ.წ. 333 წ. | ბრძოლა ისესთან |
| * ძვ.წ. 331 წ. | ბრძოლა გავგამელებთან |

## კითხვები და დავალებები

1. რა არის ძველ ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოებს შორის დაწყებული ომების მიზეზი?
2. როგორ დამთავრდა ათენისა და სპარტის ომი?
3. რომელ ბრძოლასი გამოავლინა პირველად თავისი მხედრული ნიჭი ალექსანდრე მაკედონელმა?
4. რით დამთავრდა ხერონეის ბრძოლა?
5. დაასახელედ ქრონოლოგიურად ის ბრძოლები რომელშიც ალექსანდრე მაკედონელმა ჰპოვა გამარჯვებები, აღნიშნეთ რუქაზე ეს ბრძოლები
6. რის გამო დაეცა აქამენიდთა იმპერია?
7. რა ტერიტორიებს მოიცავდა ალექსანდრე მაკედონელის იმპერია? გვაჩვენეთ რუქაზე.
8. აღწერეთ ქალაქი ალექსანდრია.

მოამზადეთ პრეზენტაცია თემაზე „ალექსანდრე მაკედონელი გამორჩეული ისტორიული პიროვნება“

ალექსანდრე მაკედონელი, ბრძოლა გრანიკტან, ისე, გავგამელი, ფაროსის შუქურა.

* ***პერგამენტი*** *– საწერად დამუშავებული ციკნის ან ხბოს ტყავი.*

## § 21. ძველი რომის სახელმწიფო

რომის სახელმწიფო წარმოიშვა აპენინის ნახევარკუნძულზე. აპენინის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში ხმელთაშუა ზღვაში ცურვის დროს ბერძნები ხედავდნენ მდიდარ საბალახოებს და დაარქვეს ამ მიწებს იტალია ანუ „ხბოების ქვეყანა“.

1. ძუ მგელი, რომელმაც გამოკვება რომულუსი და რემი

ძვ.წ. I ათასწლეულში აპენინებზე სახლობდნენ სხვადასხვა ტომები.მათ შორის ყველაზე განვითარებულები იყვნენ ეტრუსკები.

რომის სახელმწიფოს შექმნა. გადმოცემის მიხედვით, ქალაქ რომის საფუძველი ჩაეყარა ძვ.წ. 753 წ. ორი ძმის – რომულუსის და რემის მიერ. ქალაქს დაერქვა რომულუსის სახელი.

რომის ისტორია იყოფა სამეფო, **რესპუბლიკურ*** და იმპერიულ პერიოდებად.

**სამეფო პერიოდი.** რომის სამეფო პერიოდი იწყება რომის დაარსებიდან და გრძელდება ძვ.წ. 509წ.

2. ეტრუსკული ხელოვნების ნიმუში.ხარის თავის გამოსახულებიანი რიტონი *(ძვ.წ. IVსაუკუნე)*

შთამომავლები, რომლებიც წარმოიშვნენ პირველ დამსახლებლებისგან თავის თავს უწოდებდნენ

პატრიციებს (ლათინურიდან სიტყვა „pater“ ნისნავს „მამას“).

პატრიციებს ჰქონდათ უხუცესთა საბჭო. ეს საბჭო ლათინურად სენატს ნიშნავს, ხოლო მისი წევრები სენატორებად იწოდებოდნენ. სენატორებიდან ერთს სამუდამოდ ირჩევდნენ თავიანთ მეფედ.

იმათ ვინც გადმოსახლდა რომში მოგვიანებით – უწოდებდნენ პლებეებს.პლებეებს მიწის ნაკვეთებს არ აზლევდნენ ისინი მსახურობდნენ ჯარში.

* ***რესპუბლიკა*** – *ლათინურად ნიშნავს „საერთო საქმეს, სახალხო ხელისუფლებას“*

**რომის რესპუბლიკის ტერიტორია:**

- ძვ.წ.VI საუკუნე;
- ძვ.წ. III საუკუნე პუნიკურ ომებამდე;
- მნიშვნელოვანი გზები
- მნიშვნელოვანი ბერძნული ქალაქები;
- ტერიტორია რომელზეც რომაელები სახლობდნენ;
- კართაგენის მიწები პუნიკურ ომებამდე




3. რომის იმპერიის მმართვა

ძვ.წ. 509 წ. რომში დამყარდა რესპუბლიკური წესწყობილება.

რესპუბლიკურ მმართველობის დროს სენატის გავლენა უფრო გაიზარდა.სენატი მართავდა ფინანსურ საქმეებს, წყვეტდა ომისა და მშვიდობის საკითხებს.

რესპუბლიკის დროს ყოველწლიურად პატრიციებისგან ირჩევდნენ 2 კონსულს, რომლებიც ერთი წლის განმავლობაში მმართავდნენ რომს. ომიანობის დროს ისინი ხელმძღვანელობდნენ ჯარს. პლებეები რესპუბლიკაშიც უფლებების გარეშე რჩებოდნენ და უარი თქვეს ჯარში მსახურობაზე.იმის სისით,რომ ჯარი დასუსტდებოდა და იძულებულნი გახდნენ დათმობებზე წასულიყვნენ.

ძვ.წ.Vსაუკუნის დასაწყისში პლებეებმა მიიღეს უფლება თავიანთი დამცველების არჩევაზე, რომელთაც ეძახდნენ – სახალხო ტრიბუნებს. ტრიბუნებს ჰქონდათ უფლება გაეუქმებინად სენატის გადაწყვეტილებები, მათთვის საკმარისი იყო წარმოეთქვათ სიტყვა **„ვეტო“***. ტრიბუნის მკვლელობა ყველაზე მძიმე დანაშაულად ითვლებოდა.

4. რომის სენატის სხდომა

* ***ვეტო*** *– ლათინურად ნიშნავს „ვკრძალავ“*

200 წელზე მეტი ბრძოლის შემდგომ (ძვ.წ. 509–265 წწ.) პლებეებმა მიიღეს ყველა უფლება რაც მოქალაქეს გააჩნდა. რომის ყოველ მოქალაქეს უფლება ჰქონდა დაეკავებინა ნებისმიერი თანამდებობა იმის გამო რომ თანამდებობრივი მოვალეობის შესრულებისთვის არაფერს არ უხდიდნენ, ღარიბი მოსახლეობა არ იყო დაინტერესებული ტანამდებობის დაკავებით. ამ დროს რომსი შეიქმნა ჯარი, რომელიც შესდგებოდა **ლეგიონებისაგან***. ლეგიონის მთავარ ძალას წარმოადგენდა მძიმედშეიარაღებული ფეხოსნისგან. ისინი იყვნენ შეიარაღებულნი შუბით და ხმლით, ასევე მათ ეცვათ აბჯარი. ცხენოსნები იცავდნენ ფეხოსნებს ფლანგებიდან და მისდევდნენ გაცეულ მტრებს.

5. რომაელი ჯარისკაცი

გაძლიერებულმა რომაელებმა დაიბყრეს ბერძნული ქალაქები სამხრეთ იტალიაში და გახდნენ მთლიანი ნახევარკუნძულის მეპატრონეები. დაბყრობილ ხალხს ისინი მართავდნენ ესეთი პრინციპით „გათიშე და იბატონე“, იტალიის დაბყრობის შემდგომ რომი ცდილობდა სიცილიის შემოერთებასაც, ამ კუნძულის მითვისება ასევე უნდოდა კართაგენს, რომელიც მდებარეობდა ჩრდილო აფრიკაში. რომის

6. ქალაქი კართაგენი *(თანამედროვე ნახატი)*

* ***ლეგიონი*** *– სამხედრო დანაყოფი*

ბრიტანეთი
ლონდონი
ელბა
გერმანული ტოტები
ლუტეცია (პარიზი)
REYN
Q A L I A
ალეზია
ალპები
ატლანტიკური ოკეანე
ესპანეთი
ტოლეტი (ტოლედო)
კორდუბა (კორდოვა)
*საგუნტი
ახალი კართაგენი
ხმელთაშუა
რომი
კანა
კართაგენი
ზამა
სირაკუზები
ზღვაში
რომის რესპუბლიკის ტერიტორიები პუნიკური ომების დროს (ძვ.წ. 264 წ.)
რომის რესპუბლიკის დაბყრობები ძვ.წ. III საუკუნიდან - 74 წ.
რომის რესპუბლიკის დაბყრობები ძვ.წ. 74 -30 წწ.
რომის რესპუბლიკის დაბყრობები

# რომის იმპერიის ტერიტორია (ძვ.წ. III – II საუკუნეებში)

7. ტრიუმფი



8. მონათმფლობელური ბაზარი რომში

მიერ სიცილიის დაბყრობის მცდელობამ გამოიწვიაა მათი ომი. ეს ომი გრძელდებოდა ძვ.წ. 264 დან 146 წ-მდე. ვინაიდან რომაელები კართაგენელებს უწოდებდნენ პუნებს ამ ომებმა მიიღო პუნიკური ომების სახელი.

პუნიკური ომების პერიოდში რომმა შემოიერთა ისეთი კუნძულები როგორიცაა სარდინია და კორსიკა. ქალაქი კართაგენი მთლიანად იყო დანგრეული და დამწვარი, რომის სენატის გადაწყვეტილებით კართაგენი გამოცხადებული იქნა რომის პროვინციად.

ძვ.წ 146 წელს საბერძნეთიც დაემორჩილა რომს.

მხედართმთავარი დაბყრობილ ქალაქს აძლევდა თავის მეომრებს გასაძარცვად. სამხედრო ნადავლის ნაწილი რომის ხაზინაში შედიოდა. გამარჯვებული მხედართმთავარი **ტრიუმფით*** შედიოდა რომში. იგი ამხედრებული იყო ოთხი თეთრი ცხენით შებმულ ეტლზე. დაბყრობილ ტერიტორიებს მართავდნენ რომის მამასახლისები.

მონათა მდგომარეობა რომში. დაპყრობილი ტერიტორიის ხალხი ხდებოდნენ მონები და იყიდებოდნენ. რომაელები მონებს უძახდნენ „მოლაპარაკე შრომის იარაღებს“.

* ***ტრიუმფი*** – *გამარჯვებული მხედართმთავარი, თავისი ჯარით, ნადავლით და ტყვეებით ოთხ თეთრ ცხენიან ეტლზე ამხედრებული შემოდიოდა ტრიუმფალური არკის გავლით.*



9. გლადიატორთა ბრძოლა

ყველაზე დიდი მონათა ბაზარი ეგეოსიის ზღვის კუნძულ დელოსზე იმყოფებოდა.

ძვ.წ. III საუკუნიდან რომში ტარდებოდა **გლადიატორების*** ბრძოლები.

ძლიერ და მოქნილ მონებს სპეციალ სკოლებში ასწავლიდნენ სამხედრო ხელოვნებას და აბრძოლებდნენ ერთმანეთს. ესეთ მონებს უძახდნენ გლადიატორებს.

სადღესასწაულო დღეებში **არენაზე*** ტარდებოდა გლადიატორების ბრძოლები. წაგებულის ბედი წყდებოდა ხალხისგან. თუ ისინი წევდნენ ცერა თითს ზემოთ, გლადიოატორს ტოვებდნენ ცოცხალს, ხოლო თუ ცერა თითს უჩვენებდნენ ქვევით წაგებულ გლადიატორს კლავდნენ.

10. ძმები ტიბერიუსი და გაი გრაკხი

სახალხო ტრიბუნები. ძვ.წ. 133 წელს სახალხო კრებამ აირჩია ტიბერიუსი სახალხო ტრიბუნად. მანშესთავაზა ახალი მიწის კანონი, იმიტომ რომ რომში ბევრ გლეხს არ გააჩნდა მიწის ნაკვეთი. სენატმა უარით უპასუხა ამ წინადადებას. მაგრამ, ტიბერიუსმა შეკრიბა სახალხო კრება რომელმაც

* ***გლადიატორი*** *– ლათინურიდან „gladius“ ნიშნავს „ხმალს“.*
* ***არენა*** *– ქვიშით მოყრილი მოედანი ამფითეატრის ცენტრში*

11. ტიბერიუსის გამოსვლა სახალხო კრებაზე

დაამტკიცა ეს კანონი. მისი ხელმძღვანელობით ზედმეტის მიწების ჩამორთმევა ხდებოდა და ნაწილდებოდა ღარიბებზე.

ტიბერიუსის მტრებმა ცილი დასწამეს მას, რომ, ტიბერიუს სურდა მეფე გამხდარიყო. ამ სიცრუის გამოყენებით სენატორებმა მოკლეს ტიბერიუსი და მისი მომხრეები, ხოლო მათი გვამები მდინარე ტიგროსში ჩაყარეს. ძვ.წ. 123 წელს ტიბერიუსის ძმა გაი გრაკხი არჩეული იქნა სახალხო ტრიბუნად. მან გააგრძელა მიწების ღარიბებისათვის დარიგება. ეგეც როგორც მისი ძმა მოკლული იქნა.

სპარტაკის აჯანყება. ძვ.წ. 74 წელს კაპუის მონებმა აჯანყება მოაწყეს. 78 მონა გამოიქცა და დაბანაკდნენ ვეზუვის მთის ძირში.

აჯანყებას ხელმძღვანელობდა სპარტაკი. მონები გარეშე მიდამოებიდან შემოუერთდნენ აჯანყებულებს. მათ დაამარცხეს კაპუიდან გამოგზავნილი ჯარი, რის შედეგადაც ხელთ იგდეს უამრავი იარაღი. სენატის ჯარმა ალყა დაარტყა ვეზუვს. მაგრამ მონებმა ღამით დაწნეს კიბეები ყურძნის ლერწმიდან, კლდიდან ჩამოვიდნენ და დაამარცხეს ისინი.

12. აჯანყებულბის ჩამოსვლა ვეზუვიდან

სენატმა კვლავ გამოაგზავნა უფრო დიდი ჯარი. ჯარს ხელმძღვანელობდა კრაასი. მან გადაუკეტა აჯანყებულებს გზა და მოაქცია ხაფანგში. სპარტაკმა მიმართა აჯანყებულებს სიტყვით „სჯობს მოვკვდეთ ხმლისგან, ვიდრე შიმშილით“ და აჯანყებულებმა შეუტიეს კრაას.

ძვ.წ. 71 წელს სპარტაკი დაეცა რომაელებთან ბოლო ბრძოლაში. კრაასის და პომპეუსის ჯარებმა ერთობლივი ზალებით გაანადგურეს აჯანყებულები. გზის პირას რომელიც კაპუიდან რომამდე მიდის რომაელებმა ჯვარს აცვეს 6000 მონა.

13. სპარტაკის ბოლო ბრძოლა

## ქრონოლოგია

| | |
|---|---|
| * ძვ.წ. 753 წ. | რომის დაარსება |
| * ძვ.წ. 753-509 წწ | სამეფო პერიოდი რომში |
| * ძვ.წ. 509 წ | რესპუბლიკური წყობილება რომში |
| * ძვ.წ. V საუკუნის დასაწყისი | პლებეებმა მიიღეს უფლება აერჩიათ სახალხო ტრიბუნი |
| * ძვ.წ. 264-146 წწ | პუნიკური ომები |
| * ძვ.წ. 146 წ | საბერძნეთი დაემორჩილა რომს |
| * ძვ.წ. 133 წ | ტიბერიუსი არჩეულ იქნა ტრიბუნად |
| * ძვ.წ. 123 წ | გაი გრაკხი გახდა ტრიბუნი |
| * ძვ.წ. 74-71 წწ | სპარტაკის აჯანყება |

## კითხვები და დავალებები

1. ვინ იყვნენ პატრიციები და პლებეები?
2. ძველ რომში ყოველ მოქალაქეს ჰქონდა უფლება დაეკავებინა ნებისმიერი თანამდებობა. რატომ არ უნდოდათ ღარიბ მოსახლეობას თანამდებობაზე დანიშვნა?
3. როგორ იმარტებოდა რომი რესპუბლიკის დროს?
4. რა უფლებები ჰქონდათ სახალხო ტრიბუნებს?
5. რატომ მოხდა პუნიკური ომები და რა შედეგით დამთავრდა?
6. რომელი მიწები მიითვისა რომმა?
7. რა გააკეთეს ძმებმა ტიბერიუსმა და გაი გრაკხმა უმიწო გლეხებისათვის?
8. როგორ მოხდა სპარტაკის აჯანყება და რითი დამთავრდა?

მოამზადეთ პრეზენტაცია თემაზე „რომის რესპუბლიკის მმართველობა“

პატრიციები, პლებეები, სენატი, კონსული, ტრიბუნი, გლადიატორი, რესპუბლიკა, ძმები გრაკხები, სპარტაკი.

## § 22. რომის იმპერიის შექმნა და დაცემა

1. იულიუს კეისარი

2. ბრუთუსი

**იულიუს კეისარი და მის მიერ ხელისუფლების ჩაგდება რომში.** სპარტაკის აჯანყების ჩახშობის შემდგომ რომში გაძლიერდა ბრძოლა ხელისუფლებისთვის. ბრძოლა ძირითადათ მიმდინარეობდა ისეთ მხედართმთავრებს შორის როგორებიც არიან კრაასი, პომპეუსი და იულიუს კეისარი. იულიუს კეისარი არჩეულ იქნა კოსულად. კონსულის ვადის გასვლის შემდგომ იგი დანიშნული იყო მეფის ნაცვლად რომის პროვინცია-გალიაში. გალები დიდი ხნის განმავლობაში წინააღმდეგობას უწევდნენ რომს. იულიუს კეისარმა დაამარცხა გალები და დაიმორჩილა. ამის შემდგომ მან გადაწყვიტა ხელისუფლების ჩაგდება რომში.

ძვ.წ. 49 წელს კეისარის ჯარი დაიძრა რომისკენ. კეისარს ელოდებოდა ან ხელისუფლება ან სამარცხვინო დასჯა. მან წარმოთქვა „კამათელი გაგორებულია“ და ამ სიტყვებით წავიდა წინ. სენატის ჯარს ხელმძღვანელობდა პომპეუსი. კეისარი მოქმედებდა ისე სწრაფად რომ პომპეუსმა ვერ მოასწრო დაცვის მომზადება. კეისარის ჯარს არ სეხვედრია არანაირი დაბრკოლება, გადალახა იტალია და შევიდა რომში. კეისარმა გაანადგურა პომპეუსის ჯარი. ბრძოლამ კეისრისა და პომპეუსის მომხრეებს შორის მიიღო სახელწოდება სამოქალაქო **ომისა***.

სენატი იძულებული გახდა გამოეცხადებინა კეისარი მუდმივ **დიქტატორად***. მას გამოსახავდნენ მეტალის მონეტებზე, მის ქანდაკებებს დგავდნენ ღმერთის ქანდაკებების გვერძე. მაგრამ კეისრის ერთპიროვნული მმართველობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ძვ.წ. 44 წელს სენატის სხდომის დროს რესპუბლიკის მომხრეებმა მოახდინეს თავდასხმა კეისარზე, მას მიაყენეს 23 ჭრილობა დარტყმა ხანჯლით, რისგანაც კეისარი დაიღუპა. შეთქმულებას ხელმძღვანელობდა ბრუთუსი.

---

* ***სამოქალაქო ომი*** *– ბრძოლა ერთი ქვეყნის მოქალაქეებს შორის*

* ***დიქტატორი*** *– პირი რომელიც სარგებლობს შეუსღუდავი ძალაუფლებით სახელმწიფოს მმართველობაში*

კეისრის თანაშემწე ანტონიუსი და მისი მემკვიდრე ოქტავიანე გამოვიდნენ რესპუბლიკელების წინააღმდეგ. 18 წლის ოქტავიანე იყო კეისრის ნათესავი. კეისარმა იშვილა იგი და გამოაცხადა თავის მემკვიდრეთ.

ძალების გაერთიანებით მათ დაამარცხეს რეპუბლიკელები. გამარჯვებულებმა გაინაწილეს სახელმწიფოს მართვის ფუნქციები. ანტონიუსი მართავდა აღმოსავლეთს, ოქტავიანე-დასავლეთ რომს. მათ შორის არსებობდა განხეთქილება, რომლებმაც მიიყვანა ისინი ომამდე.

ძვ.წ. 31.წ. ოქტავიანესა და ანტონიუს შორის მოხდა შეჯახება. ამ შეჯახებაში ანტონიუსი დამარცხდა. ის დაბრუნდა ალექსანდრიაში სადაც ცხოვრობდა. ძვ.წ. 30 წელს ოქტავიანეს ჯარმა დაიფყრო ალექსანდრია. ალექსანდრია გადაიქცა რომის პროვინციად.

ოქტავიანე გახდა ერთპიროვნულ მმართველად აღმოსავლეთსა და დასავლეთ პროვინციების მმართველი. სენატმა მიანიჭა ოქტავიანეს ღირსეული სახელი ავგუსტოსის სახელი(წმინდანი).

ოქტავიანეს მმართველობიდან რომი გახდა იმპერია. რომის იმპერია აფართოვებდა თავის საზღვრებს მეზობელი სახელმწიფოების ხარჯზე.ძვ.წ. I საუკუნეში რომაელებმა მიაღწიეს სამხრეთ კავკასიას, მათ შორის ძველი ალბანეთის ტერიტორიამდეც.

**მონათმფლობელური ეკონომიკის დაცემა II–III საუკუნეებში.** რომში ვითარდებოდა ეკონომიკა. შეიქმნა წყლის წისქვილები, გამოგონილ იქნა ახალი ტიპის გუთანი და მოსამკავი საშუალებები.

მაგრამ მონათმფლობელო ბა ანელებდა ტექნიკის განვითარებას, რაც იწვევდა სასოფლო მეურნეობის ჩამორჩენამდე. მონები ნაკლებად იყვნენ დაინტერესებულნი თავისი შრომით. მათი ინტერესების გასაძლიერებლად ზოგი მონათმფლობელი ჰყოფდა თავის მიწებს მცირე ზომის ნაკვეთებად, რომელსაც გადასცემდა იჯარით მონებს და თავისუფალ გლეხებს.



3. ანტონიუსი

4. ოქტავიანე ავგუსტოსი

***კოლონა*** *– წარმოიშვება ლათინურიდან „kolonus“ ანუ „მიწადმოქმედი“*

ხეობები

დედაქალაქები

ქალაქები

რომის გზები

# რომის იმპერია

5. კონსტანტინე

ესეთ მოიჯარეებს ეძახდნენ „ქოხებიან მონებს“ და **კოლონებს***. ისინი უხდიდნენ მესაკუთრეებს მიწის საფასურს და მოსავლის დარცენილ ნაწილს იტოვებდნენ თვითონ. კოლონებისგან განსხვავებით „ქოხებიანი მონები“ არ იყვნენ თავისუფლებნი. მე-II საუკუნეში რომის იმპერატორმა აკრძალა მონების მოკვლა.

**რომის იმპერიის დაშლა.** 330წ. იმპერატორ კონსტანტინეს ინიციატივით დედაქალაქი იქნა გადატანილი ძველბერძნულ ქალაქ ბიზანტიაში. ახალ დედაქალაქს ეწოდა კონსტანტინოპოლი.

395 წელს რომის იმპერატორმა იმპერია გაჰყო ორ შვილს შორის.ჩამოყალიბდა ორი იმპერია: აღმოსავლეთ რომის იმპერია (ბიზანტია) დედაქალაქით კონსტანტინოპოლში, და დასავლეთ რომის იმპერიად დეადაქალაქით – რომში. მთლიანი იტალიის და დასავლეთ ევროპა და აფრიკა მიეკუთვნა დასავლეთ რომის იმპერიას. აღმოსავლეთ იმპერიის შემადგენლობაში შევიდა ბალკანეთის ნახევარკუნძული, ეგვიფტე, რომის მიწები და აზია.

მე- V–საუკუნის დასაწყისში გერმანიის ტომებმა – გოთებმა და ვანდალებმა ისარგებლეს დასავლეთ რომის იმპერიის დასუსტებით და დაიწყეს რომზე თავდასხმები. მე- V– საუკუნის შუაში ჰუნებმა ილაშქრეს რომზე. რომის პაპმა სთხოვა ჰუნების ბელადს ატილას აეღო რომი თავის დაცვის ქვეშ. ატილამ მიიღო ეს წინადადება და დაიხია უკან თავის ჯარით.

6. რომის დაცემა

**დასავლური რომის იმპერიის დაცემა.** ვანდალებმა ევროპის რამდენიმე ქვეყნის დაპყრობის სემდეგ გადაინაცვლეს აფრიკაში და სექმნეს ვანდალების სამეფო. 455 -წელს ვანდალების ტომები გადმოსხდნენ აფრიკიდან იტალიაში და ადვილად დაეუფლნენ რომს. ატასობით რომაელი იქნა მოკლული და მონათქცეული. ვანდალები ამსხვრევდნენ ქან-

დაკებებს, წვავდნენ წიგნებს და სახლებს. ნგრევები ისეთი საშინელი იყო რომ, მაგ მოვლენების შემდეგ სიტყვა „ვანდალი“ გახდა დაუნდობელის სინონიმი. ბოლოს 476 წელს გერმანულმა ტომებმა ჩამოაგდეს ტახტიდან დასავლეთ რომის იმპერატორი. დასავლეთ რომის იმპერიამ შეწყვიტა არსებობა. დასავლეთ რომის იმპერიის დაცემის წელი ითვლება ასევე ძველი ისტორიის ბოლოთ.

## ქრონოლოგია

| | |
|---|---|
| * ძვ. წ. 49 წ. | კეისარის ჯარი დაესხა რომს |
| * ძვ. წ. 30 წ. | ოქტავიანეს ჯარმა დაიბყრო ალექსანდრია. ეგვიფტე გახდა რომის პროვინცია |
| * 330 წ | კონსტანტინეს მიერ დედაქალაქი გადატანილ იქნა ბიზანტიაში |
| * 395 წ | დასავლეთ და აღმოსავლეთ რომის იმპერიის შექმნა |
| * 476 წ | დასავლეთ რომის იმპერიის დაცემა |

## კითხვები და დავალებები

1. როგორ დაიწყო სამოქალაქო ომი რომში?
2. რომი არ იყო იმპერია. როგორ მოახერხა კეისარმა იმპერატორის წოდების მიღება?
3. როგორ გადაიქცა ეგვიფტე რომის პროვინციად?
4. რა დროიდან გახდა რომი იმპერია?
5. თქვენი აზრით რატომ დაეცა მონათმფლობელობის ეკონომიკური მაჩვენებლები?
6. ვის უზახდნენ „ქოხიან მონებს“ და „კოლონებს“?
7. რა ტარიღი ითვლება ძველი მსოფლიოს ისტორიის დასასრულად?

შეაგროვეთ მასალები სხვადასხვა წყაროებიდან თემაზე „როგორ დაიშალა უძლეველი რომის იმპერია?“

იულიუს კეისარი, დიქტატორი, ანტონიუსი, ოქტავიანე ავგუსტუსი, კოლონი, კონსტანტინოპოლი, ვანდალები, გერმანული ტომები.

## 23. რომის კულტურა




1. პანთეონის გარე და შიგნითა ხედი

**ქალაქი რომი ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში.** რომის უძლეველ სახელმწიფოდ გადაქცევის შემდგომ, მისი დედაქალაქი რომი გადაიქცა ყველაზე დიდ ქალაქად ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე.

ქალაქის ცენტრალურ მოედანზე, რომელსაც ერქვა **ფორუმი***, და მის ირგვლივ იმპერატორები აშენებდნენ დიდებულ ტაძრებს, საზოგადოებრივ შენობებს და აღმართავდნენ ძეგლებს. ერთ-ერთი ყველაზე გრანდიოზული შენობა რომში იყო ამფითეატრი **კოლიზეუმი***. კოლიზეუმში ტარდებოდა გლადიატორთა ბრძოლები და თეატრალური წარმოდგენები.

ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე მშვენიერი არქიტექტურული ძეგლი იყო **პანთეონი***. იმპერატორ ტრაიანის

2. ამფითეატრი კოლიზეუმი

* ***ფორუმი*** *– ცენტრალური მოედანი*

* ***ამფითეატრი კოლიზეუმი*** *– ამფითეატრი-სანახაობათა დგილი; კოლიზეუმი- ლათინური სიტყვა „kolosseus“ ანუ „დიდი“, „უზარმაზარი“*

* ***პანთეონი*** *– ყველა ღმერთის ტაძარი*

საპატივცემულოდ აღმართულ იქნა სვეტი რომლის სიმაღლეც 40 მეტრია. მარმარილოს **რელიეფზე*** რომელიც გარს ერტყმის სვეტს როგორც ლენტა, გამოსახულია იმპერატორის ლაშქრობის სცენები. სვეტის თავზე იდგა თვით ტრაიანის ქანდაკება.

ყველაზე ფართოდ გავრცელებული არქიტექტურული ძეგლები ძველ რომში იყო, ტრიუმფალური თაღები. საზეიმო დღეებში იმპერატორები გადიოდნენ ამ თაღებს შუა.

რომს ეწოდებოდა „მუდმივი ოქროს ქალაქი“ ან უბრალოდ „ქალაქი“.

რომში ასევე შენდებოდა **თერმები*** – აბანოები ცხელი და ცივი წყლის ბასეინებით. თერმებში ასევე იყო ბიბლიოთეკები და დასასვენებელი დარბაზები.



3. სვეტი აღმართული რომში
იმპერატორ ტრაიანის საპატივსაცემოდ



4. რომის სასაზღვრო- დაცვითი ნაგებობები

* ***რელიეფი*** *– ამობურცული გამოსახულება*
* ***თერმები*** *– ბერძნული სიტყვა „termos“ რაც ნიშნავს „ცხელი“*

5. ტრიუმფალური თაღი აშენებული კონსტანტინეს მმართველობის პერიოდში

იმპერატორ ავგუსტუსის ბრძანებით რომის მახლობლად ამოთხრილი იყო ტბა. აქ ეწყობოდა ზღვის ბრძოლების სანახაობები. აშენებული იქნა ცირკიც და იპოდრომიც. იპოდრომზე ტარდებოდა დოღი.

რომის ავტორები სდგავდნენ სცენებზე ტრაღედიებს და კომედიებს. მაგრამ გლადიატორული ბრძოლები უფრო იზიდავდნენ რომაელ მაყურებლებს.

**ძველი რომის ხელოვნება.** ძველ რომში განვითარებული იყო სახვითი ხელოვნება, ქანდაკებები და სამხატვრო ხელობა. რომაელები ხშირად იყენებდნენ ბერძნილ და აღმოსავლურ არქიტექტურულ ილეთებს. რომაელმა არქიტექტორებმა გამოიგონეს ბეტონი. მათ შეეძლოთ რკალისებური ფორმის (თაღი) გადახურვის აშენება.

რომაელმა სკულპტორებმა ბევრი რამ ისწავლეს ბერძნებისგან. მათ მიერ შექმნილი ქანდაკებები ზუსტად ასახავდნენ ადამიანის გამომეტყველებას და ხასიათს.

**რომის პოეზია და მეცნიერება.** ძვ.წ I საუკუნიდან ჩვ.წ. I საუკუნემდე უძახიან რომის პოეზიის „ოქროს საუკუნე“ს. ამ პერიოდში ცხოვრობდნენ ყველაზე გამორჩეული რომის მოღვაწეები. პოეტმა ვერგილიუსმა დაწერა პოემა „ენეიდა“, მეცნიერმა და პოეტმა ლუკრეციუსმა – „საგანთა ბუნება“.

6. რომაული სკოლა

რომში განვითარებული იყო მეცნიერების სხვადასხვა დარგები. დაწერილი იქნა წიგნები „სოფლის მეურნეობაზე“, „ლათინურ ენაზე“, „ისტორიაზე“, სახელმძღვანელო“ არქიტექტურაზე“.

რომაელების მიერ შექმნილი ანბანით ახლაც ბევრი სახე-

ლმწიფოები სარგებლობენ მათ შორის აზერბაიჯანიც.

ეხლაც მეცნიერებაში გამოიყენება ბალახებისა და ცხოველების ლათინური სახელწოდებები. ავადმყოფობებიც და წამლების სახელწოდებებიც ლათინურ ენაზეა.

7. რომის ქირურგიული ინსტრუმენტები

კალენდარი რომელიც მიღებულ იქნა კეისარის მმართველობის დროს, მცირეოდენ ცვლილებებით გამოიყენება დღესაც. დღემდე შემონახულია თვეების ლათინური დასახელებები: სექტემბერი – „მეშვიდე“ დეკემბერი „მეათე“ (რომში ახალი წელი იწყებოდა მარტიდან). ივლისი დაერქვა იულიუს კეისრის საპატივსაცემად, ხოლო შემდგომი თვე ავგუსტუსის საპატივსაცემოდ. **ანტიკური*** კულტურა გახდა საფუძველი ევროპული ქვეყნების კულტურის განვითარებისთვის.

**ქრისტიანობის ჩასახვა.** I-საუკუნეში პალესტინაში აღმოცენდა ერთ-ერთი მსოფლიო რელიგია- ქრისტიანობა. რომაელები თვლიდნენ რომ იესოს – ქრისტიანობის ფუძემდებლის, ქადაგებები მიმართული იყო პალესტინაში რომის იმპერიის ძალაუფლების შესუსტებისთვის. ამიტომაც მათ შეიპყრეს იესო და ჯვარს აცვეს. თქმულების მიხედვით სამი დღის მერე იესო აღსდგა და ცაში ამაღლდა. რამდენიმე დღის შემდეგ ის გამოეცხადა თავის მოწაფეებს შეპირდა დედამიწაზე დაბრუნებას რათა განესაჯა ცოცხლებიც და მკვდრებიც.

8. პირველი ქრისტიანების საიდუმლო შეკრება

ქრისტიანებს შორის იყო ბევრი ებრაელი, ბერძენი, რომაელი, ეგვიპტელი, გალი და სხვა.

ქრისტიანები ერთიანებოდნენ თემებში, ერთობლივად ახდენდნენ ღვთის მსახურებას და აღნიშნავდნენ თავიანთ

* ***ანტიკური*** *– სიტყვა „antikvus“ ნიშნავს „ძველს“*

დრესასწ-აულებს. იმის გამო რომ ისინი ეთაყვანებოდნენ მხოლოდ ერთ ღმერთს და არ აღიარაბდნენ რომის იმპერატორს ღმერთად, რომის მმართველი წრეები უკრძალავდნენ მათ შეკრებას. შექმნილი იქნა ორგანიზაციები რომლებშიც ერთიანდებოდნენ ქრისტიანული თემები. მათ მმართავდნენ **ეპისკოპოსები*** ამ ორგანიზაციებს ეწოდათ ეკლესია.

313 წელს იმპერატორ კონსტანტინეს მიერ ქრისტიანობა ნებადართულ რელიგიად გამოცხადდა და ნებართვა მიეცა ღიად ჩაეტარებინათ ღვთის მსახურება და აეშენებინათ ტაძრები.

სიკვდილის წინ კონსტანტინემ თვითონ მიიღო ქრისტანობა. იგი მიაკუთვნეს წმინდანთა რიცხვს.

## ქრონოლოგია

| | |
|---|---|
| * ძვ.წ I საუკუნიდან ჩვ.წ. I საუკუნემდე | უძახიან რომის პოეზიის „ოქროს საუკუნეს“ |
| * I-საუკუნე | პალესტინაში აღმოცენდა ერთ-ერთი მსოფლიო რელიგია- ქრისტიანობა |

## კითხვები და დავალებები

1. რა ძეგლები იყო აღმარტული რომში?
2. რისთვის აშენებდნენ რომში ტრიუმფალურ თაღებს?
3. რა გამოიგონეს რომაელებმა?
4. რა მიღწევები ჰქონდათ რომაელებს პოეზიაში და მეცნიერებაში?
5. რომელი ხალხი სარგებლობდა რომაული ანბანიტ?
6. როდიდან დაიწყო რომაული კალენდარის გამოყენება?
7. როგორ შეიქმნა ქრისტიანობა?

დაწერეთ ესსე თემაზე „რა მისცა რომმა მსოფლიო კულტურას?“

ამფითეატრი კოლიზეუმი, ტრიუმფი, ხელოვნება, არქიტექტურა, ქრისტიანული რელიგია, კონსტანტინე

* ***ეპისკოპოსი*** *– ბერძნულიდან ნიშნავს „მეთვალყურე“*

## ეს საინტერესოა

### ისტორიული თქმულებები

**საბერნეთის დაცემა. პლუტარქე. ალექსანდრე მაკედონელი (ნაწყვეტები).**

... ერთხელ ალექსანდრე მაკედონელს, რომელიც გამოირცეოდა თავისი სწრაფი სირბილით, დაახლოვებულმა პირებმა ჰკითხეს ხომ არ მიიღებდა მონაწილეობას ოლიმპიურ თამაშებსი სირბილში? ალექსანდრემ უპასუხა: „მივიღებდი თუ ჩემი მოწინააღმდეგეები იქნებოდნენ მეფეები“.

არისტოტელე იყო ალექსანდრეს მასწავლებელი.

...მედიცინისადმი ინტერესს ალექსანდრეს არისტოტელე უნერგავდა. მეფე ხშირად ეხმარებოდა ტავის დაავადებულ მეგობრებს, უნიშნავდა მკურნალობის მეთოდებს და რეჟიმს.

... ალექსანდრე დიდი პატივისცემით ექცეოდა არისტოტელეს. მისი სიტყვებით მამასავით უყვარდა არისტოტელე და ამბობდა, რომ მამისგან დავალებულია სიცოცხლით, ხოლო ღირსეული ცხოვრებით არისტოტელესგან.

... დარიუსისგან დარჩენილ ნადავლს შორის იყო ერთი ფასიანი ზარდაღშა, ეს ზარდაღშა მოუტანეს ალექსანდრეს. მან ჰკითხა თავის მეგობრებს თუ რა უნდა შეენახა შიგნით. სხვადასხვა წინადადებეი იყო, მაგრამ მეფემ გადაწყვიტა მასში „ილიადას“ შენახვა.

... ეგვიპტეს დაბყრობის შემდეგ ალექსანდრეს უნდოდა დაეარსებინა ქალაქი რომელსაც დაარქმევდა თავის სახელს. არქიტექტორტა რჩევით მან აარჩია ადგილი თავისი მომავალი ქალაქისთვის და შემოღობა იგი. მაგრამ მას დაესიზმრა უცნაური სიზმარი, მან ნახა ჭაღარა თმიანი მოხუცი რომელიც იდგა გვერძე და კითხულობდა ლექსს:

*ღია ზღვაში არის კუნძული*
*ფაროსს უძახის მას ხალხი*

ალექსანდრემ გაღვიძების შემდეგ გაემართა ფაროსისკენ. ფაროსი იყო კუნძული, რომელიც მოგვიანებით მიწის ყრილით იყო მიერტებული მატერიქთან. ალექსანდრემ დაინახა რომ ეს ადგილი მართლა ლამაზი იყო. მან დაავალა თავის არქიტექტორებს შეექმნათ ქალაქის გეგმა . ცარცის უქონლობის გამო არქიტექტორებმა დახატეს ქალაქის გემა ფქვილით შავ მიწაზე. ალექსანდრეს გეგმა მოეწონა , მაგრამ უეცრად ჩიტების გუნდმა დაფარა ცა, ჩიტები დაჯდნენ იმ ადგილას და წაშალეს გეგმა. მეფე შეწუხდა მომხდარით. მკითხავებმა

აუხსნეს მას რომ ეს ქალაქი აყვავდება უცხო კოლონისტების მიერ. მეფე დაწყნარდა. მან დაავალა ტავის ხალხს სერიოზულად მიეხედატ ქალქის მშენებლობისთვის, თვითონ კი გაეშურა ღმერთი ამონის ტაძრისკენ. გზა იყო გრძელი და დამქანცველი. მოგზაურები ძირითადათ იტანჯებოდნენ ქვიშის ქარიშხლებისგან და უწყლობისგან. თქმულების მიხედვით ერთ-ერთმა ასეთმა ქვიშის ქარიშხალმა სპარსეთის მეფის კამბიზას 50 ათას კაციანი ჯარი დაფარა. ეს იყო ყველასთვის ცნობილი. მაგრამ მიუხედავად ამისა ალექსანდრემ უარი ვერ თქვა დასახულ მიზანზე. იმიტომ, რომ ბედმა ჯიუტი გაზარდა. ის არასოდეს არ ყოფილა დამარცხებული მტრისგან. ის არასოდეს არ კმაყოფილდებოდა დროით და ადგილით, მას ყოველთვის იტაცებდა მიუღწეველი. იმისთვის რომ ხელახლა შებრძოლებოდა დარიუსს ალექსანდრემ დაიწყო მისი დევნა, მაგრამ დევნა გრძელდებოდა დიდხანს და მძიმედ. 11 დღის განმავლობაში მათ გაიარეს 3 ათასი სტადია . ბევრი მეომარი უწყლობის გამო დასუსტდა. ერთ-ერთ ასეთ დღეს ალექსანდრე შეხვდა მაკედონელებს რომლებსაც მოქონდათ წყალი ტიკებით ვირებზე. იყო შუა დღე, მეფეს სწყუროდა, სწრაფად აუვსეს შლემი წყლით და მიაწოდეს ალექსანდრეს. მან ჰკითხა თუ ვისთვის მიქონდათ ეს წყალი , მაკედონელებმა უპასუხეს: „ჩვენი ბავშვებისათვის, მაგრამ სულ რომ ყველა ამოწყდეს, არაუშავს მთავარია შენ გადარჩე, იმიტომ რომ ჩვენ კიდევ გვეყოლება სხვა შვილები“ ამ სიტყვების გაგონების შემდეგ აიღო შლემი მიიხედ – მოიხედა და დაინახა რომ ყველა ცხენოსანი უყურებდა წყალს, არცერთი წვეთი არ დაულევია და შლემი უკან დაუბრუნა, მადლობა გადაუხადა წყლის მომწოდებლებს და უთხრა: „ეს წყალი რომ მე დავლიო, სხვები სულიერად დაეცემიანო“.

ცხენოსნებმა რომ დაინახეს მეფის სიკეთე, გააჭენეს ცხენები და გადაწყვიტეს რომ ალექსანდრეს უნდა გაეგრძელებინა მათი მეთაურობა. სანამ არსებობს ასეთი მეფე მათ არ ააქვთ უფლება შეიგრძნონ დაღლილობა და უწყლობა.

... მართალია ყველამ შემართებით დაიწყო შეტევა, მხოლოდ 60 -მა მხედარმა შესძლო ალექსანდრესთან ერთად შესულიყო მოწინააღმდეგის ბანაკში. ისინი არ აქცევნენ ყურადღებას არც ოქრო ვერცხლს,არც ქალებს და ბავშვებს ისინი მისდევდნენ გაქცეულ დარიუსს III. როდესაც ისინი მიუახლოვდნენ დარიუსს III მისი მკვდარი სხეული შუბებით იყო განგმირული.

მეფემ ითხოვა წყალი, პოლისტრატემ მოუტანა მას ცივი წყალი. დარიუსს III დალია წყალი და უთხრა მას: “ჩემთვის დიდი უბედურებაა, რომ არა მაქვს საშუალება დაგიფასო ეს, მაგრამ ალექსანდრე დაგაჯილდოვეფსო.ხოლო ალექსანდრეს ღმერთები გადაუხდიან იმის

გამო, რომ მან პატივი სცა ჩემს დედას, ცოლს და სვილებს. გადაეცით მას ჩემი მადლიერება. “ამ სიტყვების შემდეგ მან ჩაჰკიდა ხელი პოლის-ტრატეს და უმალვ გარდაიცვალა.

ალექსანდრე მიუახლოვდა გარდაცვლილს, შეიცოდა ის, და თავისი მოსასხამი გადაფინა. მოგვიანებით მან სეიბყრო დარიუსს III მკვლელი და მკაცრად დასაჯა იგი.

რომის დაარსების ლეგენდა. თქმულების მიხედვით ლათინელების ერთ-ერთმა მეფემ ბრძანა თავისი დისშვილების ტყუპების – რომულუსის და რემის მდინარე ტიბროსში ჩაგდება.მას ეშინოდა, რომ როცა ბავშვები გაიზრდებოდნენ ისინი წაართმევდნენ ტახტს. მაშინ ტიბროსი ადიდებული იყო და გოდორი, რომელშიც იწვნენ ბავსვები ხის ტოტს გამოედო. ბავშვები გადარჩნენ.ძუ მგელმა დაალევინა მათ რძე, ხოლო შემდგომ მწყემსმა იპოვნა ისინი და გაზარდა.ძმები გაიზარდნენ ძლიერი მეომრები. მათ მოაწყეს შეთქმულება მეფის წინააღმდეგ და მოკლეს იგი.ამის შემდეგ ძმებმა იჩხუბეს იმის გამო თუ სად უნდა აეშენებინათ ქალაქი და ვის უნდა ემართა იგი. ჩხუბში რომულმა მოკლა რემი. იმ ადგილას სადაც მწყემსმა იპოვნა ისინი მან ააშენა ქალაქი და გახდა მეფე. ქალაქს დაერქვა რომი – რომულუსის საპატივსაცემოდ.

რომაელები თვლიდენ  რომის დაარსების წლად ძვ.წ. 753 წ. რომში კაპიტოლიის გორაკზე აღმართულია ძუ მგელის ქანდაკება.

**გალები რომში.** (რომაელი მწერლების მოთხრობებიდან). ტომები, რომელსაც ბერძნები უწოდებდნენ კელტებს, რომაელები ეძახოდნენ გალებს. ლათინურად „გალუსი“ მამალს ნიშნავს.რომაელები უზახოდენ მათ ესე იმიტომ, რომ ისინი თავიანთ ქუდებში მამლის ბუმბულს არჭობდნენ.

390 წელს. გალების მეომარი ტომები დასახლდნენ ჩრდილო იტალიაში და დესხნენ რომს.მაღალი გალები თავიანთი შეხედულებით შემზარავები იყვნენ.მათ, სწრაფად დაიკავეს რომის დიდი ნაწილი. კაპიტოლიური ციხის გარდა. მოსახლეობა იქ შეიხიზნა. ღამიტ, როდესაც ყველას ეძინა, გალები ჩუმად მიეპარენ კედლებს, მაგრამ ბატებმა გაიგეს ფაჩუნი და დაიწყეს ყივილი. რომაელებს გაეღვიძათ და მოიგერიეს მტერი. აქედან წამოვიდა გამოთქმა – “ ბატებმა რომი გადაარჩინეს“-ო.

გალებმა მოითხოვეს 300 კილო ოქრო რომის დასატოვებლად, რაზედაც რომაელები დასთანხმდნენ. გამოსასყიდის გადახდის დროს გალების ბელადმა გირებს თავისი ხმალი დაადო. რომაელებმა პროტესტი გამოთქვეს, რაზედაც მიიღეს პასუხად: “ვაი დამარცხე-ბულებს“.

**„პიროსის გამარჯვება.“** ჩვენს დროს, როდესაც ამბობენ გამარჯვებაზე, რომელის შედეგად უფრო მეტი დაიკარგა ვიდრე მოიგე, გამოიყენება გამოთქმა “პიროსის გამარჯვება“. ძველი მემატიანეს მოთხრობის მიხედვით, ეს მოხდა შემდეგნაირად. რომის ბერძნულ ქალაქებთან ბრზოლის დროს ბერძნების დასახმარებლად ჩამოვიდა მეფე პიროსი. მის ჯარსი იყო 22 000 ფეხოსანი, 3 000 ცხენოსანი და 20 საბრძოლო სპილო. ბრზოლის დროს სპილოები შეიჭრნენ რომაელთა რიგებში. სპილოებზე მჯდომმა მეომრებმა დაუშინეს ისრები და შუბები რომაელებს და მიაყენეს ზიანი, მაგრამ ბრძოლის შემდეგ პიროსის ჯარმა ისეთი დანაკლისი განოიცადა, რომ პიროსის თქმით: „კიდევ ერთი ესეთი გამარჯვება და მე ჯარის გარეშე დავრჩები“ – ო

რომაელებმა შეავსეს ჯარი და ხელახლა შეუტიეს. გადამწყვეტ ბრძოლაში, რომაელებმა სპილოებს ძირს დაუყარეს ლურსმებიანი ფიცრები, დაუწყეს დაშინება ცეცხლით და აიზულეს ისინი უკან გაქცეულიყვნენ. სპილოებმა თავისი ჯარი გადათელა.ზველაფერი ამის შედეგად პიროსმა განიცადა წაგება.

## გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა


1. **Алиев В.Г.** Культура эпохи средней бронзы Азербайджана. Баку, 1991.
2. **Чизхолм Д.** Мировая история в датах. Москва, 1999.
3. **Göyüşov R.** Azərbaycan arxeologiyası. Bakı, 1983.
4. **Редер Д.Г., Черкасова Е.А.** История древнего мира. В 2-х томах. Том I. Москва, 1979.
5. **Семенев С.А.** Происхождение земледелия. Ленинград, 1974.
6. **Семенев С.А.** Развитие техники в каменном веке. Ленинград, 1968.
7. Всемирная история. В 24-х томах. Том I. Москва, 1996.
8. **Арриан Ф.** Поход Александра. Москва, 1962.
9. **Алиев И.** История Мидии. Баку, 1960.
10. **Allahverdiyev S., Haqverdiyev Ə.** Türk dünyası xalqlarının tarixi. Bakı, 1996.
11. **Белявский В.А.** Вавилон легендарный и Вавилон исторический. Москва, 1971.
12. **Бонгард – Левин Г., Ильин Г.** Индия в древности. Москва, 1985.
13. **Дьяконов И.** Очерк истории Древнего Ирана. Москва, 1961.
14. История Древнего Востока. Москва, 1979.
15. **Крамер Н.** История начинается в Шумере. Москва, 1965.
16. **Qeybullayev Q.** Qədim türklər və Ermənistan. Bakı, 1992.
17. **Qüdrətov D.** Türk xalqlarının tarixi. Bakı, 2000.
18. **Гумилев Л.Н.** Тысячелетие вокруг Каспия. Баку, 1990.
19. Мифы народов мира. Энциклопедия. В 2-х томах. Москва, 1980; 1982.
20. **Mustafazadə T.** Ümumi tarix. I hissə. Bakı, 1995.
21. **Özdək Rafiq.** Türkün qızıl kitabı. I hissə. Bakı, 1991.
22. **Рубинштейн Р.** Загадки пирамид. Москва, 1966.
23. **Садаев Д.** История Древней Ассирии. Москва, 1979.
24. **Бурасин А.А., Годер Г.И., Свенцицкая И.С.** История древнего мира. Москва, 1999.
25. **Həsənov Y.** Qədim Roma tarixi. Bakı, 1968.
26. **Nehri C.** Ümumdünya tarixinə bir nəzər. Bakı, 1990.
27. **Парандовский Я.** Верования и легенды греков и римлян. Москва, 1958.
28. **Plutarx.** İsgəndər Zülqərneyn. Bakı, 1989.
29. **Сергеенко М.** Ремесленники Древнего Рима. Москва, 1968.
30. **Н.А.Дмитриева, И.А.Виноградова.** Искусство древнего мира. Москва, 1986.
31. **Энн Миллард.** Атлас древнего мира. Лондон, 1974.
32. **Ф.И.Коровкин.** История древнего мира–5. Москва, «Просвещение», 1988.

**ÜMUMİ TARİX 6**

*Ümumtəhsil məktəblərinin 6-cı sinfi üçün*
*Ümumi tarix fənni üzrə*

**DƏRSLİK**

(Gürcü dilində)

**Tərtibçi heyət:**


| | |
|---|---|
| Müəlliflər | **Vəli Hüseyn oğlu Əliyev** |
| | **İlyas Atababa oğlu Babayev** |
| | **Aidə Əkbər qızı Məmmədova** |
| Tərcüməçi | **Nəriman Əliyev** |
| Redaktor | **Gülər Mehdiyeva** |
| Bədii və texniki redaktor | **Abdulla Ələkbərov** |
| Dizaynerlər | **Səbinə Məmmədova,** |
| | **Təhmasib Mehdiyev** |
| Korrektor | **Aftandil Kapanadze** |



*Azərbaycan Respublikası Təhsil Nazirliyinin*
*qrif nömrəsi:* 2017-029



**© Azərbaycan Respublikası Təhsil Nazirliyi – 2017**

Müəlliflik hüquqları qorunur. Xüsusi icazə olmadan bu nəşri və yaxud onun hər hansı hissəsini yenidən çap etdirmək, surətini çıxarmaq, elektron informasiya vasitələri ilə yaymaq qanuna ziddir.



Hesab-nəşriyyat həcmi 7,83. Fiziki çap vərəqi 8,0. Formatı 70x100 $^{1}/_{16}$.
Səhifə sayı 128. Ofset kağızı. Ofset çapı.
Tiraj 200. Pulsuz. Bakı–2017.

**«Aspoliqraf LTD» MMC**
Bakı, AZ 1052, F.Xoyski küç., 149

PULSUZ